- საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწას და შენობებს (ძირითად ოფისებს და საცალო ქონებას), რომლებიც არ არის დაკავებული არსებითად გამოყენებისთვის, ჯგუფის ოპერაციებისთვის, არც ჩვეულ ბიზნეს რეჟიმში გასაყიდად, არამედ საკუთრებაში არსებობს უშუალოდ საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით, კაპიტალის შესაფასებლად ან სამომავლო განვითარებისთვის, სანამ გამოყენების ზუსტი დეტალები არ განისაზღვრება.
- მატერიალური ქონება შედგება ქონებისგან, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად ჩვეულ ბიზნეს რეჟიმში. ძირითადად, ეს არის საცხოვრებელი ქონება, რომელსაც ჯგუფი ავითარებს და გამიზნული აქვს გაყიდოს მშენებლობის დამთავრებისას ან დამთავრებამდე.

დაშვებები

საინვესტიციო ქონების შეფასება

საინვესტიციო ქონება მოცემულია საბაზრო ღირებულებით. საბაზრო ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ჩვეულებრივი ტრანზაქციით ბაზრის მონაწილეებს შორის, დაანგარიშების თარიღზე. ბოლო შეფასების თარიღი, რომელიც ჩატარდა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ არის 2015 წლის 31 დეკემბერი. იხლეთ შენიშვნა 10 - საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების დაანგარიშების დეტალები.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოუყენებელ საგადასახადო აქტივებზე

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისთვის იმ მასშტაბით, რომ სავარაუდოა, რომ მოგება ხელმისაწვდომი იქნება იმ ზარალზე, რომლის გამოყენებაც იქნება შესაძლებელი. ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი განსჯა საჭიროა იმის განსაზღვრისთვის, რომ დადგინდეს გადავადებული საგადასახადო აქტივების თანხა, რომლებიც შესაძლებელია რომ აღიარდეს. სამომავლო დასაბეგრი მოგება და საგადასახადო სარგებლის თანხა, რომელიც სავარაუდოა რომ გვექნება მომავალში, ეფუძნება ხელმძღვანელობის მოლოდინებს, რომლებიც სავარაუდოდ გონივრული იქნება გარემოებიდან გამომდინარე. იხ. შენიშვნა 9.

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების დამტკიცების თარიღამდე გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისთვის და რომლებიც ჯგუფს ადრე არ ჰქონდა მიღებული. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას იქონიებს ჯგუფზე, ან რომლის გავლენა ამჟამად შეფასებულია, შემდეგია:

IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

IFRS 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და ადგენს ახალ ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება შემოსავალზე, მიღებული კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. IFRS 15-ის შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია თანხით, რომელიც ასახავს გადახდას, რომელსაც პირი მოელის რომ უნდა მიიღოს კლიენტისთვის საქონლის და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. IFRS 15-ის პრინციპები უზრუნველყოფს უფრო მეტად სტრუქტურულ მიდგომას შემოსავლის დაანგარიშების და აღიარების მიმართ. ახალი შემოსავლის სტანდარტი გამოიყენება ყველა პირის მიერ და აუქმებს არსებულ შემოსავლის აღიარების მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებს IFRS. სრული ან შეცვლილი რეტროსპექტიული გამოყენება საჭიროა წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2017 წლის 1 იანვარს, ადრეული დამტკიცების ნებართვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს IFRS 15-ის გავლენას.

IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში, IASB-მა გამოუშვა IFRS 9-ის საბოლოო ვერსია „ფინანსური ინსტრუმენტები“, რომელიც ასახავს საბოლოო ინსტრუმენტის ყველა ფაზას და ანაცვლება IFRS 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“. „აღიარება და დაანგარიშება“ და IFRS 9-ის ყველა მანამდე არსებული ვერსია. სტანდარტი ადგენს ახალ მოთხოვნებს კლასიფიკაციისა და დაანგარიშებისთვის, გაუფასურების და საერთო ანგარიშსწორებისთვის. IFRS 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს, ადრეული დამტკიცების ნებართვით. რეტროსპექტიული გამოყენება საჭიროა, მაგრამ შედარებითი ინფორმაცია არ არის აუცილებელი. IFRS 9-ის წინა ვერსიების (2009, 2010 და 2013) ადრეული გამოყენება ნებადართულია თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღის არის 2015 წლის 1 თებერვლამდე. ჯგუფი ამჟამად აფასებს IFRS 9-ის გავლენას.

(ქართულ ლარში ათასებში)

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში (გაგრძელება)

IFRS 16 ქირა

2016 წლის იანვარში, IASB-მა გამოუშვა IFRS 16 „იჯარა“ წლიური პერიოდების ამოქმედების თარიღით დაწყებული 2019 წლის 1 იანვას ან შემდგომ. IFRS 16 შედეგად გვამლევს მეიჯარის დაანგარიშებას უმეტესი იჯარებისთვის სტანდარტის ფარგლებში იმავე გზით, როგორც ამჟამად ანგარიშდება ფინანსური ქირავნობა სტანდარტის IAS 17 შესაბამისად. ქირავნობა აღიარებს „გამოყენების უფლების“ აქტივს და შესაბამისი ფინანსურ ვალდებულებას ბალანსის ანგარიშში. აქტივი გაუფასურდება ქირავნობის მოცულობით და ფინანსური ვალდებულება დაანგარიშდება ამორტიზაციის ღირებულებით. მეიჯარის ანგარიშსწორება არსებითად იგივე რჩება როგორც IAS 17-ის. ჯგუფი ამჟამად ავასებს IFRS 16-ის გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

სხვა გამოშვებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში, არ არის მოსალოდნელი რომ გავლენას იქონიებს ჯგუფზე.

5. შემოსავალი

	2015	2014
მატერიალური ქონების გაყიდვის შედეგები		
- საცხოვრებელი ფართი	43,792	53,114
- კომერციული ფართი	461	2,410
- ავტოსადგომი	640	1,416
	44,893	56,940
საიჯარო შემოსავალი	1,785	1,579
სხვა შემოსავალი	285	188
შემოსავალი	46,963	58,774

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - სასაქონლო მატერიალური მარაგი

	2015	2014
- საცხოვრებელი ფართი	37,352	37,812
- კომერციული ფართი	228	867
- ავტოსადგომი	2,164	7,865
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	39,744	46,544

7. ხელფასები და თანამშრომლებზე გაცემული სხვა კომპენსაციები

	2015	2014
კომპენსირების ხარჯი წილიდან	2,628	1,521
ხელფასი	1,623	1,287
ფულადი დანამატი	870	569
სულ თანამშრომლების სარგებელი	5,121	3,377
თანამშრომლების სარგებლის ხარჯი	943	1,139
თანამშრომლების სარგებელი კაპიტალიზებული მარაგებში (შენიშვნა 11)	4,178	2,238
სულ თანამშრომლების სარგებელი	5,121	3,377

(ქართულ ლარში ათასებში)

8. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2015	2014
ქირა	711	394
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება	401	173
საოფისე მომსახურება	192	127
ქველმოქმედება	167	50
დაცვა	131	158
კომუნიკაცია	92	57
დაზღვევა	84	77
კომუნალური	65	135
პერსონალური ტრენინგი და რეკრიუტმენტი	65	34
საოპერაციო ხარჯები	43	187
კორპორატიული მასპინძლობა	43	92
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	41	182
სხვა ხარჯები	41	60
სულ სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,076	1,726

9. საშემოსავლო გადასახადი

ქართულმა იურიდიულმა პირებმა საგადასახადო დეკლარაციები უნდა შეავსონ ინდივიდუალურად. საშემოსავლო გადასახადის ტარიფი, რომელიც ვრცელდება ჯგუფზე, არის 15%. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ჯგუფი უფლებამოსილია გამოიყენოს საგადასახადო შეღავათი რათა შეამციროს დასაბეგრი შემოსავალი 5 წლის მანძილზე მისი წარმოშობიდან. შესაბამისი 5 წლიანი პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 5 წლით ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე.

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი 2,798 ლარი (2014: 1,137 ლარი) 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შედგება გადავადებული საგადასახადო ხარჯისგან 1,826 ლარის ოდენობით (2014: გადავადებული საგადასახადო სარგებელი 780 ლარი) და მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის ხარჯისგან 972 ლარის ოდენობით (2014: 1,917 ლარი).

ეფექტური საშემოსავლო გადასახადის ტარიფი განსხვავდება კანონით დადგენილი საგადასახადო ტარიფისგან. 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის საშემოსავლო გადასახადის ხარჯის შესაბამისობაში მოყვანა სავალდებულო ტარიფებთან ფაქტიური ხარჯით, შემდეგია:

	2015	2014
მოგება საშემოსავლო გადასახადის ხარჯამდე	15,878	7,895
საკანონდებლო გადასახადის ტარიფი	15%	15%
თეორიული საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	(2,382)	(1,184)
არა გამოქვითვადი ხარჯები გამოკლებული არა დასაბეგრი შემოსავალი	(41)	47
გადატანილ საგადასახადო შეღავათის ამოწურვა	(375)	-
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	(2,798)	(1,137)

(ქართულ ლარში ათასებში)

9. საშემოსავლო გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2015 წლის 31 დეკემბრისთვის და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის და მათი მოძრაობა შესაბამისი წლებისთვის, შემდეგია:

	2015 წლის 31 დეკემბერი	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შეცვლა ერთობლივი შემოსავლის ანგარიშში	2014 წლის 31 დეკემბერი	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შეცვლა ერთობლივი შემოსავლის ანგარიშში	2015 წლის 31 დეკემბერი
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შედეგი					
მატერიალური ქონება	1,490	(676)	814	4,776	5,590
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	(91)	97	6	(6)	-
გადატანილი საგადასახადო შედეგათი	2,556	(516)	2,040	504	2,544
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18	86	104	-	104
ჯამური გადავადებული საგადასახადო აქტივი	3,973	(1,009)	2,964	5,274	8,238
დასაბეგრი დროებითი სხვაობების შედეგი					
საინვესტიციო ქონება	(2,187)	1075	(1,112)	(2,505)	(3,617)
მატერიალური ქონება	-	-	-	-	-
გადავადებული შემოსავლები	(394)	714	320	(4,329)	(4,009)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	-	-	(266)	(266)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(2,581)	1,789	(792)	(7,100)	(7,892)
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	1,392	780	2,172	(1,826)	346

31 დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა 16,964 ლარი (2014: 13,595 ლარი) საგადასახადო ზარალი, გადატანილი, რომელსაც აქვს შემდეგი ამოწურვის განრიგი:

	2015	2014
31 დეკემბერი 2015	-	7,671
31 დეკემბერი 2016	484	484
31 დეკემბერი 2017	-	950
31 დეკემბერი 2018	-	-
31 დეკემბერი 2019	4,529	4,490
31 დეკემბერი 2020	11,961	-
საგადასახადო აზრალი, გადატანილი	16,974	13,595

შესაბამისი საგადასახადო რეგულაციები ხშირად ბუნდოვანია და დადგენილია რამდენიმე პრეცედენტი. ეს ქმნის საგადასახადო რისკებს საქართველოში, ძირითადად მეტად მნიშვნელოვანს ვიდრე ჩვეულებრივ გვხვდება იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო სისტემა უფრო განვითარებულია.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ჯგუფი არსებითად ასრულებს საგადასახადო კანონებს, რომლებიც ეხება მის ოპერაციებს. თუმცა, რისკი რჩება, რომელიც შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ინტერპრეტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

10. საინვესტიციო ქონება

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს საინვესტიციო ქონების მოძრაობას 2015 წლის მანძილზე:

2015

	სავალდ გასაყიდი ქონება	მიწა	სხვა	სულ
1 იანვრისთვის	24,538	38,086	689	63,313
შენატანი საწესდებო კაპიტალში (შენიშვნა 14)	11,643	-	-	11,643
შემენები	2,977	8,098	-	11,075
წმინდა მოგება/(ზარალი) გადაფასებიდან	7,502	9,230	(30)	16,702
კაპიტალის დანახარჯი	2,494	52	-	2,546
სასესხო ხარჯები	-	3,639	-	3,639
გადატანა მატერიალური ქონებიდან (შენიშვნა 11)	937	-	-	937
31 დეკემბრისთვის	50,091	59,105	659	109,855

(ქართულ ლარში ათასებში)

10. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2015 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონებაში შეტანილია მშენებარე კომერციული ფართების ერთეულები, ღირებულებით 937 ლარი (2014: 828 ლარი), რომლებიც რეკლასიფიცირდა მატერიალური ქონებიდან ჯგუფის განზრახვის გამო, გამოყენებინა მომავალში. შესაბამისი ერთეულები ნარჩუნდება საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს მოძრაობებს საინვესტიციო ქონებაში 2014 წლის განმავლობაში:

		2014		
	საცალო ქონება	მიწა	სხვა	სულ
1 იანვრისთვის	17,924	183	689	18,796
რეორგანიზაცია საერთო კონტროლის ქვეშ (შენ. 2)	5,786	12,096	-	17,882
შეძენა	-	46,780	-	46,780
მატერიალური ქონების გადაცემა (შენიშვნა 11)	-	(24,074)	-	(24,074)
წმინდა მოგება გადაფასებიდან	-	1,854	-	1,854
კაპიტალის დანახარჯი	-	62	-	62
სასესხო ხარჯები	-	1,269	-	1,269
გასხვისება მატერიალური ქონებიდან (შენ. 11)	828	-	-	828
გასხვისება	-	(84)	-	(84)
31 დეკემბრისთვის	24,538	38,086	689	63,313

საცალო გაყიდვისთვის განკუთვნილი ქონება წარმოადგენს საოფისე გაქირავებულ შენობებს. საინვესტიციო ქონებაში შედის გაუქირავებელი შენობები, მაგრამ რომლებიც საკუთრებაშია კაპიტალის შეფასების მიზნით. ჯგუფის საინვესტიციო ქონების უმეტესობა მდებარეობს თბილისში, საქართველო, 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის.

საბაზრო ღირებულების შეფასება

საინვესტიციო ქონება შეფასებულია საბაზრო ღირებულებით. საბაზრო ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც არ მიიღებოდა აქტივის გაყიდვიდან რიგითი ტრანზაქციით ბაზრის მონაწილეებს შორის დააგარიშების თარიღზე. ბოლო ჩატარებული შეფასების თარიღი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ არის 2015 წლის 31 დეკემბერი. შეფასება ჩატარდა აკრედიტებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ რეორგანიზებული და შესაბამისი პროფესიონალური კვალიფიკაციით და გამოცდილებით იმ ლოკაციაში და კატეგორიაში, რომელშიც შეფასდა საინვესტიციო ქონება. გამოყენებულია შეფასების მეთოდები საერთაშორისო შეფასების სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდირებულის შესაბამისად და შეესაბამება IFRS 13-ის პრინციპებს. საინვესტიციო ქონების შეფასება მიეკუთვნება საბაზრო ღირებულების იერარქიის დონეს 3.

ეს მეთოდები მოიცავს ბაზრის შედარების და ღირებულების მეთოდებს.

ბაზრის შედარების მიდგომა

ეს მეთოდი ეფუძნება ქონების შედარებას მეორე ქონების საგანთან, რომელიც გაიყიდა ან შეტანილია გაყიდვების რეესტრში. შეფასების ეს მეთოდი მთლიანი უძრავი ქონების ან მიწის ნაკვეთის ანალოგიურია. ღირებულების რეგულირება განისაზღვრება შემდეგი საფუძველზე შემდეგი პრიორიტეტით: 1) დაფინანსების პირობები; 2) გაყიდვების პირობები; 3) საბაზრო პირობები; 4) ადგილმდებარეობა; 5) ფიზიკური მახვენებლები.

შემოსავლის მიდგომა

შემოსავლის მიდგომა არის შეფასების მეთოდი, რომელსაც იყენებენ შემფასებლები და უძრავი ქონების ინვესტორები, რათა დაადგინონ შემოსავლის ოდენობა უძრავი ქონებიდან. იგი ეფუძნება ვადაზე ადრე დადგენის წინაპირობას, ანუ სამომავლო სარგებლის მოლოდინი. შემოსავლის მიდგომა, ქონების ღირებულება დაანგარიშებულია შემოსავლის საფუძველზე, რომელსაც სავარაუდოდ წარმოშობს ქონება. შემოსავლის კაპიტალიზაცია მოსალოდნელ ფულად სახსრებს აკონვერტირებს არსებულ ღირებულებაში წმინდა საოპერაციო შემოსავლის „კაპიტალიზაციით“ ბაზარზე მიღებული „კაპიტალიზაციის მარჯვენებით“. კაპიტალიზაციის მარჯვენელი არის დისკონტის ტარიფი, რომელიც ასახავს რისკებს, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ქონებისთვის.

(ქართულ ლარში ათასებში)

10. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საბაზრო ღირებულების განსაზღვრისთვის, ჯგუფს იდენტიფიცირებული აქვს საინვესტიციო ქონების სამი კლასი - საცალოდ გასაყიდო ქონებისთვის, მიწის და სხვა ქონებისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს მნიშვნელოვანი დაკვირვებადი შენატანების აღწერილობას შეფასებისთვის, ასევე შენატანების სენსიტიურობას:

საინვესტიციო ქონების კლასი	საბაზრო ღირებულება 2015	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი შენატანები	კოეფიციენტი (საშუალო შეწონილი)	ტიპი	სულ ფართი, კვადრატული მეტრი	შენატანის სენსიტიურობა საბაზრო ღირებულებაზე, ლარი
საცალო გაყიდვის ქონება	40,513	საბაზრო მიდგომა	ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე, ლარი	0.1-3.4 (0.2)	შენობა მიწა	22,755 273,388	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
	7,840	შემოსავლის მიდგომა; საბაზრო მიდგომა	ქირის საფასური ერთ კვ. მეტრზე, აშშ დოლ კაპიტალიზაციის კოეფ.	15.5-37 (35) 10.0%-11.2% (10.7%)	შენობა	3,384	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე ან ზრდა (შემცირება) კაპიტალიზაციის კოეფიციენტში გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
მიწა	59,105	საბაზრო მიდგომა	ფასი 1 კვ. მეტრზე, ლარი	0.1-7.1 (0.4)	მიწა	155,036	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
სხვა	659	საბაზრო მიდგომა	ფასი 1 კვ. მეტრზე, ლარი	0.05-0.08 (0.05)	შენობა მიწა	489 10,766	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
სულ	108,117					465,818	

საინვესტიციო ქონების კლასი	2014	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი შენატანები	კოეფიციენტი (საშუალო შეწონილი)	ტიპი	სულ ფართი, კვადრატული მეტრი	შენატანის სენსიტიურობა საბაზრო ღირებულებაზე, ლარი
საცალო გასაყიდო ქონება	14,370	საბაზრო მიდგომა	ფასი 1 კვ. მეტრზე, ლარი	2-5.5 (2.6) 0.3-1.2 (0.7)	მიწა შენობა მიწა	6,259 5,959 1,157	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
					შენობა	3,003	
	3,554	ფასით მიდგომა	ჩანაცვლების ღირებულება კვ. მეტრზე	0.2-0.4 (0.3)	შენობა	9,195	ჩანაცვლების ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
			დეველოპერების მოგების მარჟა	15.0%			დეველოპერების მოგების მარჟის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
			მიწის ფასი კვ. მეტრზე	0.02-0.03 (0.03)	მიწა	28,327	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
მიწა	99	საბაზრო მიდგომა	ფასი კვ. მეტრზე	0.1-0.2 (0.1) 0.2-1.0 (0.3)	მიწა	135,310	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
სხვა	689	ფასის მიდგომა	ჩანაცვლების ღირებულება კვ. მეტრზე	0.3-0.7 (0.6)	შენობა	581	ჩანაცვლების ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
			დეველოპერების მოგების მარჟა	15.0%			დეველოპერების მოგების მარჟის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
			მიწის ფასი კვ. მეტრზე	0.03-0.07 (0.04)	მიწა	10,766	ფასის ზრდა (შემცირება) კვ. მეტრზე გამოიწვევს საბაზრო ფასის შემცირებას (ზრდას)
სულ	62,575					201,553	

(ქართულ ლარში ათასებში)

10. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2015 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონებაში შესულია მშენებარე კომერციული ფართის ერთეულები, ღირებულებით 1,738 ლარი (2014: 738 ლარი), რომლებიც დაანგარიშებულია საწყისი ღირებულებით, საბაზრო ღირებულების სამართლიანად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო. მოსალოდნელია, რომ ქონების საბაზრო ღირებულება საიმედოდ გამოითვლება მშენებლობის დასრულებისას.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონება ღირებულებით 4,823 ლარი (2014: ნული) დაგირავდა კოლატერალურად (შეჯერებულად) საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხით (შენიშვნა 13).

2015 წლის დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა ვალდებულება 23,222 ლარის ოდენობით (214: 25,200 ლარი) ერთ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საინვესტიციო ქონება.

11. მატერიალური ქონება

მატერიალური ქონების ნარჩენი ღირებულება განაწილებული ჯგუფის თითოეულ პროექტზე შემდეგია:

	2015	2014
ახალი იპოდრომი	20,583	12,663
სქაილანი	6,182	5,415
ოპტიმა საბურთალო	6,156	5,501
თამარაშვილის ქ. 06	-	9,532
ოპტიმა ისანი	-	4,860
გრძელვადიანი მატერიალური ქონება	32,921	37,971
ჩუბინაშვილის 69	67	70
თამარაშვილის ქ. 13	2,550	8,261
ყაზბეგის გამზ. 25	19,677	18,277
ნუცუბიძე (ვაჟა ფშაველას გამზ. 71)	6,737	12,732
თამარაშვილის ქ. 06	21,931	-
ოპტიმა ისანი	14,152	-
მიმდინარე მატერიალური ქონება	65,114	39,340
მატერიალური ქონება	98,035	77,311

მატერიალური ქონების მოძრაობის მოკლე აღწერილობა მოცემულია ქვემოთ:

	2015	2014
ნაშთი 1 იანვრისთვის	77,311	65,740
მიწა გადაცემული საინვესტიციო ქონებიდან (შენ. 10)	-	24,074
მშენებლობაზე გაწეული ხარჯები	55,477	29,854
სასესხო ხარჯები	1,750	2,777
თანამშრომლების სარგებელი კაპიტალიზებული (შენ. 7)	4,178	2,238
მატერიალური საშუალებები კლასიფიცირებული		
საინვესტიციო ქონებაში (შენ. 10)	(937)	(828)
გასხვისება აღიარებული გაყიდვების ღირებულებაში (შენ 6)	(39,744)	(46,544)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	98,035	77,311

2015 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა ვალდებულებები 137,731 ლარის ოდენობით ხუთი სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით (2014: 54,163 ლარი სამ პროექტთან დაკავშირებით).

(ქართულ ლარში ათასებში)

12. წინასწარი გადახდები და სხვა აქტივები

31 დეკემბრისთვის წინასწარი გადახდები და სხვა აქტივები შედგებოდა შემდეგისგან:

	2015	2014
წინასწარი გადახდები მატერიალური ქონებისთვის	15,022	5,025
დღგ-ს წინასწარი გადახდა	1,786	1,287
ქონება და ტექნიკა	1,370	788
არამატერიალური აქტივები	84	83
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,147	818
სხვა გრძელვადიანი აქტივები	20,409	8,001
მატერიალური ქონებისთვის წინასწარი გადახდები	6,896	3,883
დღგ-ს წინასწარი გადახდა	11,092	3,928
სხვა მოკლევადიანი აქტივები	884	325
მიმდინარე წინასწარი გადახდები	18,872	8,136
წინასწარი გადახდებ და სხვა აქტივები	39,281	16,137

დღგ-ს წინასწარი გადახდები მოსალოდნელია, რომ დაბრუნდება შესაბამისი სამშენებლო პროექტების დასრულებისას, როდესაც შემოსავალი მატერიალური ქონების გასხვისებიდან დაფიქსირდება შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებში.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის, დღგ-ს წინასწარი გადახდა მოიცავდა მიმდინარე წინასწარ გადახდილ დღგ-ს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პროექტებზე, რომლებიც უნდა დამთავრებულიყო 2016 წელს. გრძელვადიანი დღგ-ს გადახდები ეკუთვნის პროექტებს, რომელთა სავარაუდო დასრულების ვადაა 2017 წელი და შემდგომი პერიოდი.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის, სამშენებლო ხარჯებში (მატერიალური ქონება) შევიდა თანხები, გადახდილი მშენებლობისთვის გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად ყაზბეგზე, მ2 თამარაშვილზე და ოპტიმა ისანის პროექტებისთვის და გრძელვადიანი წინასწარი გადახდები ახალი იპოდრომის პროექტისთვის.

13. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის 31 დეკემბრისთვის გასაყიდად ხელმისაწვდომ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში შედის:

- არაკვოტირებული წილის უმცირესი ნაწილი კომპანიაში ღირებულებით 1,145 ლარი (2014: 1,145 ლარი) გატარებული ღირებულებით გაუფასურების ხარჯის გარეშე (2014: საბაზრო ღირებულებით იერარქის დონეზე 3). 2015 წელს ჯგუფმა ეს არაკვოტირებული საწესდებო ინვესტიცია გადაიტანა დონიდან 3 იმის გამო რომ შეუძლებელი იყო საბაზრო ღირებულების საიმედოდ გამოთვლა.
- BGEO-ს წილები, რომელსაც ფლობდა ჯგუფის ფულადი წილის ტრანზაქციების რეგულირებისთვის საბაზრო ღირებულებით 975 ლარი (2014: 246 ლარი). BGEO-ს წილები კატეგორიზებულია საბაზრო ღირებულების იერარქიულ დონეზე 1 (2014: დონე 1).

დაკავება გადასახდელი მთავარი კონტრაქტორისთვის

2015 წლის 31 დეკემბრისთვის და 2014 წლისთვის მთავარი კონტრაქტორისთვის გადასახდელ დაკავებაში შედის შესრულება და გარანტიის დაკავება დაკავშირებული ჯგუფის მიმდინარე სამშენებლო პროექტებთან.

შესრულების გარანტიის დაკავება შეადგენს მშენებლისთვის გადასახდელი თანხის 5%-ს, რომელიც დაკავებულია ჯგუფის მიერ და გადასახდელია პროექტის დასრულების თარიღზე. იგი განზრახულია გარანტიისთვის სამშენებლო ღონისძიებების დასრულების მიზნით. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის შესრულების გარანტიის დაკავება შეადგენდა 2,073 ლარს (2014: 1,499 ლარი).

(ქართულ ლარში ათასებში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)
ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)

შესრულების გარანტიის დაკავება შეადგენს მშენებლისთვის გადასახდელი თანხის 5%-ს, რომელიც დაკავებულია ჯგუფის მიერ და გადასახდელია პროექტის დასრულების თარიღის შემდეგ. იგი განზრახულია სამშენებლო ღონისძიებებში აღმოჩენილი ხარვეზების გარანტიისთვის. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის შესრულების გარანტიის დაკავება შეადგენდა 3,198 ლარს (2014: 1,475 ლარი).

გარანტიის დაკავება პროექტის მიხედვით	2015	2014
შპს მ2 ყაზბეგზე	1,539	651
შპს მ2 ნუცუბიძეზე	33	358
შპს მ2 თამარაშვილზე	840	208
შპს ოპტიმა ისანი	786	258
შპს თამარაშვილის 13	-	-
გრძელვადიანი დაკავება გადასახდელი მშენებლისთვის	3,198	1,475

შესრულების დაკავება პროექტის მიხედვით	2015	2014
შპს მ2 ყაზბეგზე	1,112	325
შპს მ2 ნუცუბიძეზე	33	358
შპს მ2 თამარაშვილზე	142	-
შპს ოპტიმა ისანი	786	-
შპს თამარაშვილის 13	-	558
მოკლევადიანი დაკავება გადასახდელი მშენებლისთვის	2,073	1,241

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

იხილეთ შენიშვნა 17

მიღებული სესხები

2015 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა სესხი ლარში, აღებული საქართველოს ბანკისგან ნარჩენი თანხით 3,286 ლარი. სესხს ვადა გასდის 2017 წლის მარტში და ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 11%-ის ოდენობით. ამ გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი შეადგენს 2,179 ლარს 2015 წლის 31 დეკემბრისთვის. საინვესტიციო ქონება ნარჩენი ღირებულებით 4,823 ლარი დაგირავდა ერთობლივად ამ სესხით (შენიშვნა 10).

2014 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა სესხი აშშ დოლარში, მიღებული საქართველოს ბანკისგან ნარჩენი ღირებულებით 3,541 ლარი, საპროცენტო განაკვეთით 8%.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის და 2014 წელს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ნარჩენი ღირებულება, გარდა გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისა (იხ. შენიშვნა 17), არის საბაზრო ღირებულების გონივრული მიახლოებული თანხა, ძირითადად მათი მოკლევადიანი ბუნების გამო.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე რისკები

ჩვეულებრივ საქმიანობის რეჟიმში ჯგუფი დგას ვალუტის, კრედიტის და ლიკვიდურობის რისკის წინაშე. ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ამ რისკების მართვას.

ვალუტის რისკები

ვალუტის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ცვალებადი იქნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

ჯგუფის ვალუტის რისკი და ღია ვალუტის პოზიცია გაანალიზებულია და იმართება მისი უშუალო პარტნიორის მიერ, რომელიც იყენებს დერივატივებს და სხვა ინსტრუმენტებს, რათა მართოს რისკები, გამომდინარე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსიდან BGEO ჯგუფის კონსოლიდირებულ დონეზე.

(ქართულ ლარში ათასებში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე რისკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დაანგარიშებულია აშშ დოლარის კურსის გონივრულად შესაძლო ცვლილების შედეგი ქართულ ლართან მიმართებაში, ყველა სხვა მუდმივ ცვლილებასთან ერთად. პოზიტიური ცვლილება ვალუტის კურსში წარმოადგენს ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინს აშშ დოლართან მიმართებაში. ნეგატიური გავლენა მოგებაზე საშემოსავლო გადასახადის ხარჯამდე აისახება პოტენციურ წმინდა კლებაზე შემოსავლების ანგარიშში, ჯგუფის მოკლე პოზიციის გადაფასების შედეგად აშშ დოლარში.

	ცვლილება ვალუტის კურსში %	გავლენა მოგებაზე და კაპიტალზე საშემოსავლო გადასახადის ხარჯამდე
აშშ დოლარი		
2015	+15.0%	(3,948)
2015	-15.0%	3,948
2014	+23.4%	(919)
2014	-23.4%	919

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ მხარე ვერ შეასრულებს თავის მოვალეობებს ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისად ან კლიენტის კონტრაქტის შესაბამისად, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ აქვს სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს, გარდა:

- ფული ბანკში: 2015 წლის 31 დეკემბრისთვის, სულ 27,989 ლარიდან (2014: 23,897) 27,983 ლარი (2014: 23,897) ინახებოდა ბანკში საერთო კონტროლით, რომლი რეიტინგი იყო “BB-/B” Standart & Poor-ის მიხედვით, “B1/NP” (FC) & “Ba3/NP (LC) Moody’s-ს მიხედვით და “BB-/B” Fitch Ratings-ის მიხედვით. შესაბამის საბანკო ანგარიშს პროცენტი არ ერიცხება. ჯგუფის ფული ბანკში ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ.
- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება უმეტესად შედგება მატერიალური ქონების გაყიდვებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებისგან. ეს დავალიანება უმეტესად დენომინირებულია აშშ დოლარში და გადასახდელია ანგარიშგების თარიღიდან 3-დან 6 თვემდე ვადაში. მნიშვნელოვანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება წარმოადგენს გადასახდელს 2015 წლის 31 დეკემბრისთვის და 2014 წლისთვის.

	2015	2014
მატერიალური ქონების გაყიდვებიდან მისაღები დებიტორული დავალიანება	1,773	133
დებიტორული დავალიანება იჯარიდან	334	195
სხვა დებიტორული დავალიანება	231	173
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,338	501

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს მისი გადახდის ვალდებულებები, როდესაც ისინი გადასახდელი იქნება ნორმალურ და სტრესულ გარემოებებში. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი გაანალიზებულია და იმართება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების მოკლე აღწერილობას საკონტრაქტო გადახდის ვალდებულებების საფუძველზე:

	2015		2014	
	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბრისთვის				
მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები	2,381	1,130	3,73	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალ.	6,533	-	1,389	-
გამომწვეული სავალო ფას. ქაღ.	4,550	50,692	30,408	-
დაკავება გადასახდელი მთ. კონტრაქტორისთვის	2,073	3,198	1,241	1,475
სულ	15,537	55,020	36,741	1,475

(ქართულ ლარში ათასებში)

14. კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები გომშვებული და სრულად გადახდილი 31 დემბრისთვის, ქვემოთ მოცემულის შესაბამისად:

	აქციების რაოდ.	საწესდებო კაპიტალი
31 დეკემბერი 2013	278,252,320	2,782
31 დეკემბერი 2014	278,252,320	2,782
საწესდებო კაპიტალის გამოშვება	139,742,343	1,398
31 დეკემბერი, 2015	417,994,663	4,180

თითოეულ აქციას აქვს 0.01 ქართული ლ. ნომინალური ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრისთვის და 2014 წლისთვის.

2015 წლის 28 იანვარს კომპანიამ გამოუშვა 74,153,439 ახალი აქცია, როგორც საფასური გადახდილი სს Galt&Taggart Holdings-სთვის 100%-იანი პარტნიორობის სანაცვლოდ სს მ2-ში (შენიშვნა 2). ეს აქციები, სს Galt&Taggart Holdings-ის სხვა აქციებთან ერთად კომპანიაში, გადაეცა სს BGEO Investment-ს მოგვიანებით 2015 წელს, BGEO ჯგუფის რეორგანიზაციის პროცესში.

2015 წლის 23 ოქტომბერს, კომპანიამ გამოუშვა 65,588,904 ახალი აქცია როგორც გადასახდელი სს BGEO Investment-სთვის 100%-იანი პარტნიორობის სანაცვლოდ შპს კაუკასუს აუტოჰაუზში. შპს კაუკასუს აუტოჰაუზი არის ერთ აქციანი კომპანია, რომელმაც არ დააკმაყოფილა ბიზნესის მიზანი. შესაბამისად, ჯგუფმა ეს ტრანზაქცია ჩათვალა როგორც საინვესტიციო ქონების ნატურით შენატანი საბაზრო ღირებულებით 11,642 ლარი.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას (რომელსაც იგი განსაზღვრავს როგორც გაცხადებულ წმინდა აქტივებს IFRS კონსოლიდირებულ ანგარიშში) შემდეგია:

- ჯგუფის შესაძლებლობის დაცვა განაგრძოს საქმიანობა უწყვეტად, ისე რომ შეძლოს პარტნიორებისთვის გადასახდელი თანხის დაბრუნება და სხვა დაინტერესებული მხარეების სარგებლის გადახდა.
- შეინარჩუნოს საკმარისი მოცულობა რათა განახორციელოს ჯგუფის მუშაობა ეფექტურ ფასად.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი აკეთებს თითოეული პოტენციური პროექტის დეტალური ანალიზი, რომლითაც დაადგენს მინიმალურ ინდივიდუალურ მოთხოვნას დაბრუნების შიდა კოეფიციენტისთვის, ნასესხები სახსრების ღირებულების და ხელმისაწვდომი საკუთარი კაპიტალის დონის გათვალისწინებით.

ჯგუფმა შეასრულა გარე ფაქტორებით გამოწვეული კაპიტალის მიმართ მოთხოვნები 2015 წლის 31 დეკემბრისთვის.

გადახდა კაპიტალიდან

2015 წლის თებერვალში, ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა გაეცა 19,000 ჩვეულებრივი აქცია BGEO-დან ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე. ჯგუფმა დაადგინა, რომ აქციების საბაზრო ღირებულება გაცემული 2015 წლის თებერვალში შეადგენდა 57,41 ლარს ერთ აქციაზე. გაცემული აქციები ექვემდებარება ორ წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას.

2015 წლის მაისში ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა 15,800 ჩვეულებრივი აქციის გადახდა BGEO-დან ჯგუფის სამ თანამშრომელზე. ჯგუფმა დაადგინა, რომ გაცემული აქციების საბაზრო ღირებულება 2015 წლის მაისში იყო 64.47 ლარი ერთ აქციაზე. გაცემული აქციები ექვემდებარება სამ წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას.

2015 წლის აგვისტოში BGEO-ს სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა 105,000 ჩვეულებრივი აქციის გადახდა BGEO-დან ჯგუფის მთავარ აღმასრულებელ ოფიცერზე. აქციები ოფიციალურად გაიცემა სამსახურის წლის შემდეგ წელსწლიურად 30,000 აქციის გაცემით (ბოლო გაცემა - 15,000 აქცია), თითოეული გაცემა ექვემდებარება ოთხ წლიან ვალდებულებას უწყვეტი დასაქმების პირობით, რაც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას. ჯგუფი გაცემის დღედ განიხილავს 2015 წლის 25 აგვისტოს. ჯგუფმა დაადგინა, რომ 2015 წლის 24 აგვისტოს გაცემული აქციების საბაზრო ღირებულება იყო 59.17 ლარი აქციაზე. ჯგუფს არ აქვს ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული, მაგრამ სავარაუდოდ ჯგუფი გადაიხდის BGEO-ს აქციების ღირებულებას, რომლებიც უნდა შეიძინოს გადახდისთვის.

2014 წლის მაისში ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა გაეცა 8,100 ჩვეულებრივი აქცია BGEO-დან ჯგუფის სამ თანამშრომელზე. გაცემული აქციები ექვემდებარება სამ წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას.

(ქართულ ლარში ათასებში)

14. კაპიტალი (გაგრძელება)

გადახდები კაპიტალიდან (გაგრძელება)

2014 წლის თებერვალში BGH-ს სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა 18,000 ჩვეულებრივი აქციის გადახდა BGH-დან ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე გაცემული აქციები ექვემდებარება 2 წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას. ჯგუფი გაცემის თარიღად თვლის 2014 წლის 24 თებერვალს. ჯგუფმა დაადგინა, რომ გაცემული აქციების საბაზრო ღირებულება 2014 წლის 24 თებერვლისთვის შეადგენდა 67.90 ლარს ერთ აქციაზე.

2013 წლის თებერვალში BGH-ს სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა 25,000 ჩვეულებრივი აქციის გადახდა BGH-დან ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე და 11,500 ჩვეულებრივი აქციის BGH-დან ჯგუფის სამ თანამშრომელზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე გაცემული აქციები ექვემდებარება ოთხ წლიან ვალდებულებას, თანამშრომლებზე გაცემული აქციები ექვემდებარება სამ წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას. ჯგუფი გაცემის თარიღად თვლის 2013 წლის 15 თებერვალს. ჯგუფმა დაადგინა, რომ გაცემული აქციების საბაზრო ღირებულება 2013 წლის 15 თებერვლისთვის შეადგენდა 35.56 ლარს ერთ აქციაზე.

2012 წლის მარტში BGH-ს სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა 23,500 ჩვეულებრივი აქციის გადახდა BGH-დან ჯგუფის ხუთ თანამშრომელზე. გაცემული აქციები ექვემდებარება სამ წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას. ჯგუფი გაცემის თარიღად თვლის 2012 წლის 6 მარტს. ჯგუფმა დაადგინა, რომ გაცემული აქციების საბაზრო ღირებულება 2012 წლის 6 მარტისთვის შეადგენდა 26.07 ლარს ერთ აქციაზე.

2011 წლის თებერვალში საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა 14,500 ჩვეულებრივი აქციის გადახდა GDR-ს ფორმით ჯგუფის ორ თანამშრომელზე. თანამშრომლებზე გაცემული აქციები ექვემდებარება სამ წლიან ვალდებულებას განგრძობადი დასაქმებით, რომელიც წარმოადგენს გაცემის ერთადერთ ვალდებულებას. ჯგუფი გაცემის თარიღად თვლის 2011 წლის 21 თებერვალს. ჯგუფმა დაადგინა, რომ გაცემული აქციების საბაზრო ღირებულება 2011 წლის 21 თებერვლისთვის შეადგენდა 35.86 ლარს ერთ აქციაზე.

მოკლე შინაარსი

2015 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალიდან განაცემების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 64.47 ლარი ერთ აქციაზე. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის ჯგუფის განაცემმა შეადგინა 425 ლარი (2014: 392 ლარი), შესაბამისმა ვალდებულებამ შეადგინა 254 ლარი (2014: 392 ლარი) 2015 წლის 31 დეკემბრისთვის.

კაპიტალიდან განაცემების შეწონილმა საშუალო საბაზრო ღირებულებამ გაცემის თარიღისთვის შეადგინა 58.90 ლარი ერთ აქციაზე 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (2014 წლის 31 დეკემბერი: 67.90 ლარი ერთ აქციაზე).

ჯგუფის კაპიტალიდან განაცემის ხარჯმა 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგინა 2,203 ლარი (2014 წლის 31 დეკემბრისთვის: 1,129 ლარი).

BGEO-ს ჩვეულებრივი აქციების ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრისთვის და გაცემის თარიღისთვის განისაზღვრა დაკვირვებადი საბაზრო ფასების საფუძველზე, რეგულირებული მოსალოდნელი დივიდენდებისთვის, რომლებიც გადახდილ იქნება უფლებამოსილი პირებისთვის ვალდებულების თარიღზე.

2015 და 2014 წელს ყველა გადახდა მოხდა იმ თარიღებზე, როდესაც დაკმაყოფილდა ვალდებულებების პირობა; 11,123 BGEO-ს ჩვეულებრივი აქციის გადახდის უფლება დაკარგა თანამშრომელმა, რომელმაც დატოვა ჯგუფი.

15. გადავადებული შემოსავალი

	2015	2014
თამარაშვილის ქ. 13	-	19,784
ოპტიმა ისანი	-	7,096
ახალი იპოდრომი	27,782	-
სქაილაინი	4,079	-
გრძელვადიანი გადავადებული შემოსავალი	31,861	26,880
ყაზბეგის 25	27,073	25,940
ვაჟა ფშაველას 71	3,460	17,337
თამარაშვილის 13	480	4,880
თამარაშვილის ქ. 6	31,281	-
ოპტიმა ისანი	10,283	-
მოკლევადიანი გადავადებული შემოსავალი	72,577	48,157
გადავადებული შემოსავალი	104,438	75,037

ჯგუფის გადავადებული შემოსავალი შედგება კლიენტებისგან საცხოვრებელი ქონების შეძენისთვის მიღებული წინასწარი გადახდების ჯამისგან, მათ შორის 18% დღგ, რომელიც უნდა დაიფაროს მშენებლობის დასრულებისას.

(ათასებში ქართულ ლარში)

16. დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ ტრანზაქციები, რომლებიც არ შეუძლიათ გააფორმონ არა დაკავშირებულმა მხარეებმა და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ განიხილება იგივე პირობებით და ვადებით და თანხებით, როგორც ტრანზაქციები არა დაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ და განხორციელებულია დამოუკიდებლად.

მმართველი ხელმძღვანელობის საერთო რაოდენობა, რომლებიც იღებენ თანამშრომლის სარგებელს 2015 წელს, შეადგენდა 4 პირს (2014: 3).

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების მოცულობა, გადაუხდელი ნაშთები წლის ბოლოს და დაკავშირებული ხარჯები და შემოსავალი ამ წლისთვის არის:

	სათაო - სს საქართველოს ბანკი ¹	2015 პირები ერთობლივი კონტროლის ქვეშ	მმართველი ხელმძღვანელი პირები	სათაო - სს საქართველოს ბანკი	2014 პირები ერთობლივი კონტროლის ქვეშ	მმართველი ხელმძღვანელი პირები
ნაშთი 31 დეკემბრისთვის						
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრისთვის	-	27,986	-	23,897	-	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	27	-	29	-	-
გამომშვებელი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	2,196	192	-	-	-
ტრანზაქციები 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის						
პროცენტის ხარჯი გამომშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე	-	156	14	-	-	-
ტრანზაქციის ხარჯები გადახდილი ობლიგაციების გამომშვებთან დაკავშირებით	-	889	-	-	-	-
ფინანსური ხარჯები	80	-	-	177	-	-
თანამშრომლების სარგებლის ხარჯი	-	-	3,682	-	-	2,139
საიჯარო შემოსავალი	52	37	-	61	-	-
საიჯარო ხარჯი	183	120	-	242	-	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	150	-	-	-	-
დაზღვევის ხარჯი	-	138	-	-	77	-

¹ 2015 წელს, ტრანზაქციები სათაო კომპანიასთან წარმოდგენილია ტრანზაქციებით სს საქართველოს ბანკთან პერიოდისთვის სანამ იგი შეწყვეტდა ჯგუფის სათაო კომპანიად არსებობას, BGEO ჯგუფის რეორგანიზაციის შედეგად.

მმართველი ხელმძღვანელობის შემადგენლობაში იყვნენ:

	2015	2014
ხელფასი	328	257
სარგო გათავისუფლებისას	832	-
ფულადი პრემია	208	360
კომპენსაცია კაპიტალიდან	2,314	1,522
	3,682	2,139

17. გამომშვებელი სავალო ფასიანი ქაღალდები

2014 წლის აპრილში, ჯგუფმა დაამთავრა 1 წლიანი ადგილობრივი ობლიგაციების გამომშვება 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (8,800 ლარი). ობლიგაციები გამომშვებულ იქნა ნარჩენი წლიური 9.5%-იანი ვაუჩერის კოეფიციენტით, გადახდილ იქნა ვადის სიმწიფისას. ფიზიკურ პირებს ეკისრებათ 5%-იანი გაცემის გადასახადი.

214 წლის ივნისში, ჯგუფმა დაამთავრა დაამთავრა 1 წლიანი ადგილობრივი ობლიგაციების გამომშვება 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (17,600 ლარი). ობლიგაციები გამომშვებულ იქნა ნარჩენი წლიური 8.42%-იანი ვაუჩერის კოეფიციენტით, გადახდილ იქნა ვადის სიმწიფისას. ფიზიკურ პირებს ეკისრებათ 5%-იანი გაცემის გადასახადი.

2015 წელს, ჯგუფმა გადაიხადა ობლიგაციები, გამომშვებელი 2014 წლის ივნისში შესაბამისი მომწიფების თარიღებზე.

(ათასებში ქართულ ლარში)

17. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის მარტში ჯგუფმა დაამთავრა 2 წლიანი ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვება 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რეგისტრირებული საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციები გამოშვებულ იქნა ნარჩენი წლიური 9.5%-იანი ვაუჩერის კოეფიციენტით, წელიწადში ორჯერ გადახდის პირობით. ფიზიკურ პირებს ეკისრებათ 5%-იანი გაცემის გადასახადი.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება შეასდგენს 49,335 ლარს (2014: 29,179 ათასი ლარი), კატეგორიზებული საბაზრო ღირებულების იერარქიის დონეზე 2.

18. მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

2016 წლის 16 თებერვალს, ჯგუფმა მიიღო პირველი ტრანში 15 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით სესხის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) 2015 წლის 3 ნოემბერს საერთო თანხაზე 23 მილიონი აშშ დოლარი. სესხს ეკისრება საპროცენტო განაკვეთი 6m LIBOR + 6.5% და აქვს საბოლოო სიმწიის თარიღი 2019 წ.